სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/03

ქ. თბილისი

11 თებერვალი 2021

სტუ-ის პერსპექტიული განვითარების სამსახურის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2021 წლის 10 თებერვლის №0000088710 წერილის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 11 თებერვლის №01-05-04/09 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 11 თებერვლის №01-06-02/02 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2019 წლის 29 ივლისის №01-06-02/63 დადგენილებით დამტკიცებულ სტუ-ის პერსპექტიული განვითარების სამსახურის დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დებულების პირველ მუხლს დაემატოს 1.3. პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„1.3. სამსახური ექვემდებარება სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილეს“;

ბ) დებულების 6.2. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.2. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია რექტორისა და სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილის წინაშე“.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე